ძირითადი საშუალებები. საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ფლობილი ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით 2021 წლის 1 იანვრიდან, რაც არის გადაფასების დღეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება ისეთი სიხშირით, რომლის

სს ზაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შედეგად, საბალანსო ღირებულება დაახლოებით იმ ღირებულების ტოლია, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი ძირითადი საშუალებების გადაფასებით წარმოშობილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარ კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაფასებით მიღებული ზრდა უკუგებას უკეთებს იმ ზარალს, რომელიც მანამდე გადაფასების შედეგად მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ამ შემთხვევაში ზრდა აღიარდება მოგება-ზარალში როგორც შემოსავალი იმ თანხის ოდენობით, რა თანხაც მანამდე მოგება-ზარალში როგორც ზარალი ისე იყო აღიარებული. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი შემცირება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში იმ თანხით, რა თანხითაც ის აჭარბებს ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის ნაშთს.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობანაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. გადაფასებული ძირითადი საშუალებების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემთხვევაში, გადაფასების რეზერვში დარჩენილი შესაბამისი ნაშთი პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

ძირითადი საშუალებების საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ გადაფასებულ ღირებულებაზე განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ბიოლოგიური აქტივები	10-25
სხვა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც ჯგუფი ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში მყოფი ქონება, რათა მიიღოს საიჯარო შემოსავალი ან კაპიტალის ზრდა ან ორივე და რომელიც არ არის ჯგუფის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით და შემდგომ ხდება გადაფასება განახლებული რეალური ღირებულებით რათა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ასახავდეს საბაზრო პირობებს.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების საანგარიშო მოხსენებით, რომლებიც ფლობენ შესაბამის აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას და გააჩნიათ უახლესი გამოცდილება მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასებაში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლების ფარგლებში. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებების ცვლილებიდან გამომწვეული მოგება-ზარალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში და წარმოდგენილია ცალკე.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი რეალიზაციიდან შემდგომ ან მაშინ როცა საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოუყენებელია და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ქონების ჩამოწერით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა რეალიზაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების ჩამოწერა.

თუკი საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიცირების თარიღში მისი საბალანსო ღირებულება გახდება მისი ჩათვლილი ღირებულება საბუღალტრო მიზნებისთვის.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა ჯგუფისთვის სავარაუდოა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც, ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის რომ შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი იმისათვის, რომ მისცეს მას შესაბამისი უფლებამოსილება, მათ შორის:

- ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი კომპანიის ზომა, სხვა აქციონერების ზომასთან შედარებით;

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

- კომპანიის, სხვა ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლება;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა კომპანიისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ ჯგუფს გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს ძირითადად ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების მეშვეობით, მათ შორის გაცემული სესხების, სავაჭრო მოთხოვნების და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაღდი თანხის სახით. საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. აღნიშნული რისკის სამართავად, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელს საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტის (IFRS 9 – ფინანსური ინსტრუმენტები) შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხვას აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მსდ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტები“-დან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რა ზომითაც ის გადანაწილდა ჯგუფის მფლობელებზე.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა ჯგუფის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული წესდებაში, ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადანაგარიშება. ჯგუფის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ჯგუფი შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. ჯგუფს არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული ჯგუფს აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

ჯგუფი იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა, ძირითადად, მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. ჯგუფი, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების გამოყენება

ჯგუფმა დანერგა ყველა ის ახალი ან შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გაცემულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ და რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის. ჯგუფს ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა. ახალი და შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები, რომელთა მიღება არ არის სავალდებულო არ იქნება დანერგილი ჯგუფის მიერ.

შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

1. ცვლილებები IAS 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ეს ცვლილებები განმარტავს ვალდებულებების მიმდინარე ან არამიმდინარე კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, ფოკუსირებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე.

2. ცვლილებები IFRS 16-ში: იჯარის ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის შემთხვევაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ცვლილებები განსაზღვრავს იჯარის ვალდებულების შეფასებას და ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღიარებას გაყიდვისა და უკულიზინგის ტრანზაქციაში.

1. ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები გამოიცა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული წლიური პერიოდისთვის, რომელიც მთავრდება 2024 წლის 31 დეკემბერს. ჯგუფს ადრე არ მიუღია ეს სტანდარტები და ამჟამად აფასებს მათ პოტენციურ გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. IFRS 18: პრეზენტაცია და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ფასს 18 შემოაქვს ახალ კატეგორიებსა და ქვეჯამებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების საზომების გამჟღავნებას.

2. ცვლილებები ბასს 21-ში: შეუცვლელი ნაკლებობა

- ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ეს ცვლილებები აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ერთეულმა ვალუტის გაცვლადიობა და ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, თუ ეს ასე არ არის.

3. ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში: კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიას

- ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ცვლილებები განმარტავს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას და ნებას რთავს ჰეჯირების აღრიცხვას გარკვეული კონტრაქტებისთვის.

ჯგუფზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ შეიცვლება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა ცვალებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

ჯგუფი მოელის, რომ ამ ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება, რომელიც ძალაში იქნება შემდეგი საანგარიშგებო პერიოდიდან, არ ექნება არსებით გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებზე.

5. ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ჯგუფი განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას. ამ შეფასების გაკეთებისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს დაგროვილი ზარალი 97,034,697 ლარის ოდენობით და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჰქონდა 8,758,222 ლარის ოდენობის ზარალი. ამასთან ერთად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 93,390,644 ლარით. ამ მოვლენებსა და გარემოებებს შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, ოპერირება გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მართებულია შემდეგი მიზეზის გამო:

- მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია დამფუძნებლისა და მფლობელი კომპანიისგან აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილით, რომელიც 2024 წლის 31

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 97,208,989 ლარს. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ აღნიშნული მფლობელები მოითხოვენ სესხების დაფარვას ისე, რომ ჯგუფს შეუქმნან ლიკვიდურობის პრობლემა;

- მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალში ჯგუფი შეძლებს საკმარისი დაფინანსების მიღებას, რაც გადაჭრის ლიკვიდობის დეფიციტის პრობლემას და უზრუნველყოფს ოპერაციების დასაფინანსებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ჯგუფის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია დაფინანსებაზე, ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე და მოზიდვაზე და შემოსავლების გენერირებაზე.

აღნიშნული მოვლენები და პირობები მიუთითებს, რომ არსებობს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი ეჭვი ჯგუფის შესაძლებლობაზე, ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა.

სს ბაგრატიონი 1882 - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

6. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ბიოლოგიური აქტივები	სხვა	სულ
1 იანვარი 2023	22,724,660	11,892,816	5,512,143	155,470	2,918,544	1,434,428	44,638,061
შემოსვლა	-	-	22,225	-	-	54,503	76,727
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	22,724,660	11,892,816	5,534,368	155,470	2,918,544	1,488,931	44,714,789
შემოსვლა	-	-	23,006	-	-	1,760	24,766
გასვლა	-	(1,403,669)	(2,868,890)	-	-	(1,232,184)	(5,504,743)
გადაფასება	25,221,512	(470,647)	4,159,637	-	-	(178,868)	28,731,634
საინვესტიციო ქონებად კლასიფიკაცია	(20,553,000)	(5,100,000)	-	-	-	-	(25,653,000)
31 დეკემბერი 2024	27,393,172	4,918,500	6,848,120	155,470	2,918,544	79,639	42,313,445
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2023	-	(476,163)	(1,989,428)	(117,934)	(75,987)	(1,021,796)	(3,681,306)
წლის ცვეთა	-	(456,666)	(353,659)	(5,156)	(60,630)	(85,845)	(961,956)
გასულის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(932,829)	(2,343,086)	(123,090)	(136,616)	(1,107,641)	(4,643,262)
წლის ცვეთა	-	(475,713)	(437,791)	(5,156)	(60,630)	(103,682)	(1,082,971)
გასულის ცვეთა	-	1,403,141	2,780,877	-	-	1,211,323	5,395,342
31 დეკემბერი 2024	-	(5,400)	-	(128,246)	(197,246)	-	(330,892)
ნარჩენი ღირებულება							
1 იანვარი 2023	22,724,660	11,416,653	3,522,715	37,536	2,842,558	412,633	40,956,755
31 დეკემბერი 2023	22,724,660	10,959,987	3,191,281	32,380	2,781,928	381,290	40,071,527
31 დეკემბერი 2024	27,393,172	4,913,100	6,848,120	27,224	2,721,298	79,637	41,982,551

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები არ იყო დაგირავებული.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების ისტორიულმა ღირებულებამ რომელებიც ჯერაც გამოიყენება შეადგინა შესაბამისად, 103,911 და 2,093,082 ლარი.

7. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ღირებულება	მიწა	შენობები	სულ
1 იანვარი 2023	1,201,532	-	1,201,532
დამატება	-	-	-
გადაფასება	252,068	-	252,068
31 დეკემბერი 2023	1,453,600	-	1,453,600
ტრანსფერი ძირითადი საშუალებებიდან	20,553,000	5,100,000	25,653,000
შეძენა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
31 დეკემბერი 2024	22,006,600	5,100,000	27,106,600
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2023	1,201,532	-	1,201,532
2023 წლის 31 დეკემბერი	1,453,600	-	1,453,600
2024 წლის 31 დეკემბერი	22,006,600	5,100,000	27,106,600

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწის ნაკვეთებს ბაღდათის რაიონში, როხში, გორის რაიონში, თერჯოლის რაიონში და სიღნაღის რაიონში.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, ჯგუფმა ძირითადი საშუალებებიდან საინვესტიციო ქონებაში გადაიტანა 25,653,000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები და შენობები. რეკლასიფიცირებული აქტივები მოიცავს სარაჯიშვილის გამზირ #12-ში მდებარე მიწის ნაკვეთებს, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 15,810,000 ლარი და 4,743,000 ლარი, ასევე ამ ნაკვეთებზე განლაგებულ შენობებს, რომელთა საბალანსო ღირებულებაა შესაბამისად 4,230,000 ლარი და 870,000 ლარი. გადატანა განხორციელდა ჯგუფის განზრახვის შესაბამისად, შეენარჩუნებინა ეს ქონება საიჯარო შემოსავლის მისაღებად და/ან კაპიტალის ზრდისთვის.

8. გაცემული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხების ბალანსები მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებს.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებული მხარეებზე გაცემული სესხები	3,242,046	3,220,798
გაუფასურების რეზერვი	(3,242,046)	(3,220,798)
გაცემული სესხები, წმინდა	-	-

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 1 იანვარს	(3,220,798)	(3,446,443)

ზრდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობაში	(21,248)	-
საკრედიტო ზარალის აღდგენა წლის განმავლობაში	-	225,645
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(3,242,046)	(3,220,798)

9. მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	3,098,374	3,597,514
მზა პროდუქცია	1,704,541	1,334,803
დამხმარე მასალები და სხვა მარაგები	2,489,805	2,138,758
სულ მარაგები	7,297,719	7,071,076
გაუფასურების რეზერვი	(1,200,565)	(1,157,434)
სულ მარაგები	6,097,154	5,913,642

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	(1,157,434)	(884,692)
გაუფასურების რეზერვი	(831,487)	(313,375)
გაუფასურების გაუქმება წლის განმავლობაში	788,357	40,633
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერი	(1,200,565)	(1,157,434)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	7,163,755	6,879,376
სხვა	56,539	39,083
სულ სავაჭრო მოთხოვნები	7,220,294	6,918,458
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(2,008,497)	(2,051,111)
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	5,211,797	4,867,347

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის დინამიკა შემდეგია:

	2024	2023
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 1 იანვარს	(2,051,111)	(2,301,962)
დარიცხული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(204,771)	(775,371)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება წლის განმავლობაში	247,385	1,026,222
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(2,008,497)	(2,051,111)

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

31 დეკემბერი 2024	მიმდინარე და 1 თვეზე ნაკლები	30-90 დღის ვადაგადაცილებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
საბალანსო ღირებულება	5,251,522	48,662	1,920,110	7,220,294
მსდ არსებობის მანძილზე	(105,030)	(12,166)	(1,891,301)	(2,008,497)
წმინდა საბალანსო ღირებულება	5,146,491	36,497	28,809	5,211,797

31 დეკემბერი 2023	მიმდინარე და 1 თვეზე ნაკლები	30-90 დღის ვადაგადაცილებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
საბალანსო ღირებულება	4,920,217	32,668	1,965,574	6,918,458
მსდ არსებობის მანძილზე	(99,309)	(8,167)	(1,943,635)	(2,051,111)
წმინდა საბალანსო ღირებულება	4,820,908	24,501	21,938	4,867,347

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული სალაროში	816,913	12,964
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	43,091	117,202
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,255	1,652
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	862,260	131,818

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება მოკლევადიანი ხასიათის გამო დაახლოებით ემთხვევა მის სამართლიან ღირებულებას. ნაღდი ფულის ნაშთები არ არის შეზღუდული და ჯგუფის მიერ ადვილად ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად.

12. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელი იყო Coral Invest S.A. 96.82%-იანი წილით და დანარჩენ 3.18%-ს ფლობდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით Coral Invest S.A.-ს 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნინო დურგლიშვილი.

13. გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი ასახავს მიწისა და შენობების სამართლიანი ღირებულების კუმულაციურ ზრდას საკუთარ კაპიტალში. გადაფასების რეზერვი არ ნაწილდება აქციონერებზე.

მცხეთაში, გორში, ბაღდადსა და თერჯოლაში მდებარე მიწის ნაკვეთები გადაფასდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს-ს ექსპერტ ჯგუფის მიერ (ს/ნ: 204967900; SARAS-F 639733), შეფასების ანგარიშებით, რომლებიც გაცემულია 2022 წლის მაის-ივნისში. გარდა ამისა, თბილის, სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთები შენობებით გადაფასდა 2022 წლის 4 მაისის მდგომარეობით, იმავე შემფასებლის მიერ.

2024 წლის განმავლობაში, მცხეთასა და სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე გარკვეული ძირითადი საშუალებები, მათ შორის მიწის ნაკვეთი, შენობები, მანქანა-დანადგარები და სხვა ძირითადი საშუალებები, ხელახლა შეფასდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს გადაფასება განახორციელა შპს „კრესტონ ჯორჯიამ“ (ს/ნ: 400003740; SARAS-F-342289) და შეფასების ანგარიში გამოქვეყნდა 2025 წლის 8 აპრილს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაფასების რეზერვი შეადგენს 61,416,213 ლარს.

გადაფასების რეზერვი	2024	2023
საწყისი ნაშთი	32,684,579	32,684,579
ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული მოგება	28,731,634	-
საბოლოო ნაშთი	61,416,213	32,684,579

კატეგორია	ამორტიზირებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	გადაფასების მეტობა/ზარალი
მიწა	13,567,488	38,789,000	25,221,512
შენობები	10,451,647	9,981,000	(470,647)
მანქანა დანადგარები	2,665,647	6,825,114	4,159,637
სხვა ძირითადი საშუალებები	256,747	77,879	(178,868)
სულ	26,941,359	55,672,993	28,731,634

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,694,331 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები და 32,628 ლარის ღირებულების შენობები არ არის გადაფასებული.

14. მიღებული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

მიღებული სესხები	ვალუტა	პროცენტი	გადახდის მეთოდი	ვადაიწიბა	31 დეკ. 2024	31 დეკ. 2023
Coral Invest S.A.	დოლარი	15.0%			93,934,700	86,507,268
ნინო დურგლიშვილი	დოლარი	8.0%	ძირი და პროცენტი	31/12/2024	5,959,734	5,962,290
სს თიბისი ბანკი	ლარი	14.5%	ძირი და პროცენტი	26/02/2025	1,010,236	1,285,659
სს თიბისი ბანკი	დოლარი	6.5%	ძირი და პროცენტი	26/02/2027	977,115	950,529
სს თიბისი ბანკი	დოლარი	6.5%	ძირი და პროცენტი	26/02/2028	939,380	916,702
სს თიბისი ბანკი	ლარი	14.5%	ძირი და პროცენტი	26/02/2026	807,101	809,000
